სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1.1/265

ქ. თბილისი 30.09.2013 წ.

2013 წელს თავისუფალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადგილებზე განმეორებითი რეგისტრაციის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თანხმობის წერილისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მართვის სისტემისათვის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების მე-40 მუხლის მე-15 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების" მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2013 წელს თავისუფალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადგილებზე განმეორებითი რეგისტრაციის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თანხმობის წერილისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 01 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით.
2. დამტკიცდეს 2013 წელს თავისუფალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადგილებზე განმეორებითი რეგისტრაციის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის სპეციალური ფორმა დანართის შესაბამისად.
3. დაევალოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ზემოაღნიშნული ინფორმაციის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის წინამდებარე ბრძანების დანართით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად წარმოდგენა.
4. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ.თბილისი დ. უზნაძის ქ.№52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6).

უფროსი ლაშა ვერულავა

ჩაწერეთ კოდი	უნივერსიტეტი (დასახელება)

მისამართი		ვებგვერდი	
ტელეფონი		ელ-ფოსტა	
საკონტაქტო პირი			

ფაკულტეტი	ჩაწერეთ კოდი	ჩაწერეთ ფაკულტეტის დასახელება

პროგრამა	ჩაწერეთ კოდი	ჩაწერეთ პროგრამის დასახელება	კვალიფიკაცია	ჩაწერეთ კვალიფიკაციის დასახელება

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
საგნების დასახელება	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემა ტიკა	ისტორია	გეოგრაფი ა	ლიტერატ ურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგი ა	შემოქმ. ტური
თავისუფალი ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით											

პროგრამა	ჩაწერეთ კოდი	ჩაწერეთ პროგრამის დასახელება	კვალიფიკაცია	ჩაწერეთ კვალიფიკაციის დასახელება

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
საგნების დასახელება	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემა ტიკა	ისტორია	გეოგრაფი ა	ლიტერატ ურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგი ა	შემოქმ. ტური
თავისუფალი ადგილების ქვოტა არჩევითი საგნების მიხედვით											

ლაშა ვერულავა

უფროსი